მალხაზ მაცაბერიძე

გეოპოლიტიკა:
ჩამოყალიბება და განვითარება

თბილისი
2015

შინაარსი

შესავალი 3
1.გეოპოლიტიკის თეორიული წყაროები 5
გეოგრაფიული დეტერმინიზმის კონცეფციები..... 6
სამხედრო-სტრატეგიული თეორიები..... 8
ცივილიზაციური მიდგომა..... 8
ბიოპოლიტიკა 9
2. გეოპოლიტიკის წარმოშობის ისტორიული პირობები 10
გეოპოლიტიკური აზროვნების არსი 12
გეოპოლიტიკის განვითარების ორი პერიოდი 12
3.მოსაზრებანი გეოპოლიტიკის საგნის შესახებ 13
გეოპოლიტიკური პრობლემატიკის არსი 13
გეოპოლიტიკის ტრადიციული განსაზღვრებები 14
გეოპოლიტიკის ტრადიციულ განსაზღვრებათა კრიტიკა..... 16
გეოპოლიტიკის საგნის გაფართოება 17
გეოპოლიტიკა - დისციპლინა თუ მეთოდი 18
ფუნდამენტური და გამოყენებითი გეოპოლიტიკა..... 19
4. კლასიკური გეოპოლიტიკის ზოგადი დახასიათება 21
“საზღვაო” და “სახმელეთო” გეოპოლიტიკა 22
“სისხლი” და “ნიადაგი” 23

ტრადიციული გეოპოლიტიკის კრიტიკა.....24

გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები და თანამედროვეობა ..25

5. გეოპოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 26

რატომ „დაივიწყეს“ გეოპოლიტიკა.....26

6. გეოპოლიტიკისადმი ინტერესის ზრდა თანამედროვე პირობებში 29

შესავალი

პოლიტიკა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო ვითარდება დროში, ამ ასპექტს პოლიტიკური ისტორია შეისწავლის. პოლიტიკას გააჩნია რთული იერარქიული სტრუქტურა, ხელისუფლება უთანაბროდ ნაწილდება ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის. პოლიტიკის ამ ასპექტს პოლიტიკური მეცნიერების რიგი სუბდისციპლინები იკვლევს. გარდა ამისა, პოლიტიკა ყოველთვის გარკვეულ სივრცეში იშლება და გულგრილი არაა სივრცის მიმართ, ანუ პოლიტიკა იცვლება სივრცის ცვალებადობასთან ერთად. სწორედ პოლიტიკისა და სივრცის ურთიერთკავშირის კვლევას, საბოლოო ჯამში, მოჰყვა გეოპოლიტიკის როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება. თუმცა, ბევრის აზრით, გეოპოლიტიკა არ წარმოადგენს სამეცნიერო დისციპლინას.

ტერმინი "გეოპოლიტიკა" რ.კელენმა შემოიტანა ორ ბერძნული სიტყვის “geo” (მიწა) და “politike” (სახელმწიფოს მართვის ხელოვნება) შეერთების შედეგად. ამ ცნებით გამოიხატებოდა სივრცისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება.

გეოპოლიტიკა თანამედროვე პოლიტიკური ლექსიკონის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ცნებაა და გამოიყენება როგორც სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის, ისე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა დახასიათების დროს. "გეოპოლიტიკის" ცნებით აღინიშნება სრულიად სხვადასხვა სიტუაციები: ლაპარაკია სახელმწიფოს და მისი ნა-

წილების გეოპოლიტიკაზე, სატრანსპორტო გზებისა და ნავთობსადენების გეოპოლიტიკაზე, მასმედიის გეოპოლიტიკასა და ცალკეული ქალაქების გეოპოლიტიკაზე და ა.შ. რიგი ქვეყნების საგარეოპოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციებში, სამხედრო დოქტრინებში "გეოპოლიტიკა" საბაზისო ცნებას წარმოადგენს.

იმის გამო, რომ გეოპოლიტიკა მნიშვნელოვანწილად იდეოლოგიზირებული დისციპლინაა, სამეცნიერო წრეებში გარკვეული სკეპტიციზმი არსებობს გეოპოლიტიკური ანალიზის ობიექტურობისადმი. მაგრამ სწორედ დიდი იდეოლოგიური მუხტის გამო გეოპოლიტიკური კონცეფციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რიგითი ადამიანების და სახელისუფლო ელიტების ცნობიერებაზე, გეოპოლიტიკური ლოგიკა საფუძვლად ედება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

გეოპოლიტიკის როგორც სამეცნიერო დისციპლინის მომხრეები აღნიშნავენ, რომ გეოპოლიტიკის მიღწევების, მისი პრობლემების და პერსპექტივების, ანალიზის მეთოდების დაუფლება, გეოპოლიტიკური კვლევების გაშლა თანამედროვე პირობებში აუცილებელია ნებისმიერ ქვეყანაში, თუკი მას სახელმწიფოებრივი არსებობისა და ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარების სურვილი აქვს.

ზოგჯერ აღინიშნება, რომ გეოპოლიტიკური აზროვნება, რიგი პოლიტიკური მოვლენებისადმი გეოპოლიტიკური მიდგომა ისევე ძველია, როგორც თავად მეცნიერება. გეოპოლიტიკის ფუძემდებლების სახით ზოგჯერ განიხილებოდა ჰერდერი და მონტესკიე, ისევე როგორც ძველი ბერძენი და რომაელი მოაზროვნენი. სინამდვილეში გეოპოლიტიკა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის შემსწავლელი დისციპლინა XIX-XX სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა და თავისი არსებობის დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე განვითარების რთული გზა განვლო.

საქართველოში გეოპოლიტიკა როგორც დისციპლინა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყებს დამკვიდრებას და, ჯერჯერობით, ჩანასახოვან სტადიას არ გასცილებია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში გეოპოლიტიკური თეორიებისა და ცნებების გამოყენება პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მიერ უფრო ინტენსიურად ხდება, ვიდრე მათი მეცნიერული გააზრება და რეალური გეოპოლიტიკური კვლევების გაშლა.

დღეს იდეოლოგია არცთუ იშვიათად გეოპოლიტიკის "მეცნიერულ" საბურველში ეხვევა და მათი უკრიტიკოდ გადმოღების პირობებში

იქმნება რეალური საფრთხე იმისა, რომ ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრდება სხვაგან შემუშავებული და სხვისი ინტერესების გამომხატველი გეოპოლიტიკური თეორიები. მით უმეტეს, რომ ამგვარი მცდელობები გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან უკანასკნელ ხანს უკვე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა.

თანამედროვე პირობებში გეოპოლიტიკა როგორც სამეცნიერო დისციპლინა, აღმავლობასთან ერთად, მნიშვნელოვან სახეცვლილებასაც განიცდის. ეს თავის მხრივ განპირობებულია იმ კარდინალური ცვლილებებით რაც კაცობრიობის განვითარებაში ხდება. ამ ცვლილებების, ახალი პრობლემატიკის გააზრების შედეგად ყალიბდება ახალი გეოპოლიტიკური თეორიები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ტრადიციული გეოპოლიტიკური მიდგომებისაგან.

1.გეოპოლიტიკის თეორიული წყაროები

ცალკეული გეოპოლიტიკური იდეები, ამა თუ იმ ფორმით, სათავეს იღებს შორეულ წარსულში. საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ის თეორიული მიდგომები და კონცეფციები, რომლებიც შემდეგ გეოპოლიტიკის ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად.

გეოპოლიტიკა, თვისობრივად განსხვავდებ წინა პერიოდის იდეური მიმდინარეობებისაგან და იმავდროულად მჭიდროდაა დაკავშირებული მათთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვილაპარაკოთ გეოპოლიტიკის თეორიულ წყაროებზე.

გეოპოლიტიკური იდეები და თავად გეოპოლიტიკა ყალიბდებოდა და ვითარდებოდა თანადროული მეცნიერული აზრის ზეგავლენით. არსებითად, გეოპოლიტიკამ, როგორც სამეცნიერო დისციპლინამ, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყო ჩამოყალიბება, საერთაშორისო არენაზე გადაიტანა იმდროინდელი ბუნებისმეტყველებასა და სოციალურ მეცნიერებაში დომინირებული იდეები და კონცეფციები. კერძოდ, გეოგრაფიული დეტერმინიზმი, ბუნებრივ-ისტორიული კანონების იდეა, სოციალ-დარვინიზმი, ორგანიციზმი და ა.შ.

გეოპოლიტიკის თეორიულ წყაროებად შეიძლება მიჩნეული იქნას:

- გეოგრაფიული დეტერმინიზმი;
- სამხედრო-სტრატეგიული თეორიები;
- ცივილიზაციური კვლევები.

გარდა ამისა, ზოგიერთი გეოპოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რასობრივი თეორიები, ანუ თანამედროვე ტერმინს თუ გამოვიყენებთ, ბიოპოლიტიკა.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის კონცეფციები

გეოპოლიტიკის თეორიულ წანამძღვრებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი გეოგრაფიულმა დეტერმინიზმმა შეასრულა. ესაა უაღრესად ძველი მიდგომა. მის ფუძემდებლად ხშირად ასახელებენ **ჰეკათეოს მილეთელს** (დაახლ. ძვ.წ.546-480 წწ.) მას ეკუთვნის ტრაქტატი "მიწათაღწერა", საიდანაც ჩვენამდე დაახლოებით 300 ფრაგმენტმა მოაღწია.

ისტორიასა და ადამიანზე გეოგრაფიული გარემოს (კლიმატის, ნიადაგის, მდინარეების, ზღვების და ა.შ.) ზეგავლენის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ გამოთქმული **ჰეროდოტეს** (ძვ.წ.484-425), **ჰიპოკრატეს** (ძვ.წ. 460-377), **პოლიბიოსს, თუკიდიდეს** და სხვა ანტიკური პერიოდის ავტორებს. **არისტოტელეს** (ძვ.წ.384-322 წწ.) ნაშრომში "პოლიტიკა" კარგად აქვს დახასიათებული კუნძულ კრეტას გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებანი. სახელმწიფოთა პირველი გეოპოლიტიკური აღწერა მოცემულია **სტრაბონის** (ძვ.წ. 64 - ახ.წ.24 წწ.) "გეოგრაფიაში".

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს ევროპაში მოჰყვა გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეების აღორძინება. ამ დროს პირველად ისტორიაში ხდება ტერიტორიული გამყოფი ხაზების გავლება მთელი პლანეტის მასშტაბით. 1494 წელს ესპანეთსა და პორტუგალიას შორის დაიდო შეთანხმება კოლონიური ექსპანსიის სფეროების გამიჯვნის თაობაზე. ამ ხელშეკრულებით სადემარკაციო ხაზი გადიოდა ატლანტიის ოკეანეზე პოლუსიდან პოლუსამდე 2000 კმ დასავლეთით მწვანე კონცხის კუნძულებიდან. ამ ხაზის აღმოსავლეთი ტერიტორიები პორტუგალიას ეკუთვნოდა, დასავლეთით - ესპანეთს. ეს ხელშეკრულება მხოლოდ 1777 წ. გაუქმდა.

ფრანგი მეცნიერის **ჟან ბოდენის** (1530-1596) ნაშრომმა "ექვსი წიგნი სახელმწიფოს შესახებ" (1577) კვლავ გაზარდა გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეებისადმი ინტერესი. სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო მოწყობაში არსებულ განსხვავებებს ბოდენი სამი მიზეზით ხსნიდა: ღვთიური ნებით, ადამიანთა თვითნებობით და ბუნების გავლენით. ზეგავლენის თვალსაზრისით ბუნების ძალთა შორის იგი პირველ ადგილზე აყენ-

ებდა გეოგრაფიულ გარემოს, გეოგრაფიულ ფაქტორებს შორის კი ყველაზე დიდ მნიშვნელობას კლიმატს ანიჭებდა.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XVIII-XIX საუკუნეებში. ფრანგი განმანათლებელი **შარლ მონტესკიე** (1689-1755) წიგნში "კანონთა გონი" (1748) სახელმწიფოთა საკანონმდებლო მოწყობის ხასიათის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად, ბოდენის მსგავსად, კლიმატის თავისებურებებს მიიჩნევდა.

ინგლისში გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ისტორიკოსი **ჰენრი ბოკლი** (1821-1862). გეოგრაფიულმა დეტერმინიზმმა ყველაზე ფართო გავრცელება გერმანიაში ჰპოვა, სადაც ამ მიმართულების ცნობილი მეცნიერები **იოჰან გოტფრიდ ჰერდერი** (1744-1803), **ალექსანდერ ჰუმბოლდტი** (1769-1859) და **კარლ რიტერი** (1779-1859) იყვნენ.

ახალი დროის გეოგრაფიული დეტერმინიზმის წარმომადგენლებისათვის, ანტიკური ხანის ავტორებისგან განსხვავებით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, ფაქტობრივად ცნობილი იყო დედამიწის მთელი ზედაპირი; გარდა ამისა, ეყრდნობობდნენ გაცილებით უფრო ფართო ისტორიულ და სამეცნიერო მასალას. აღსანიშნავია მათი განსხვავებული მიდგომაც - ძველი ბერძნებისათვის დამახასიათებელი იყო ანთროპოლოგიური მიდგომა, ახალი დროის გეოგრაფიული დეტერმინიზმის წარმომადგენლები კი უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულებას გეოგრაფიულ ფაქტორებზე, ისინი ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ისტორიის ახალი უნივერსალური გაგება, რომლითაც ყველა ან თითქმის ყველა საზოგადოებრივი მოვლენა გეოგრაფიულ მიზეზებზე დაიყვანებოდა.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის წარმომადგენელთა ნაშრომებში დასაბუთებული იყო მნიშვნელოვანი თეორიული დებულებები, რომლებიც შემდგომში გეოპოლიტიკას დაედო საფუძვლად: საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკაზე გეოგრაფიული ფაქტორისა და ბუნებრივი გარემოს ზემოქმედების შესახებ; სახელმწიფოთა ძლიერებაზე გეოგრაფიული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების ზეგავლენის შესახებ და ა.შ.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეებმა უშუალო გაგრძელება ჰპოვა გეოპოლიტიკის პირველი თეორეტიკოსების - გერმანელი ფრიდრიხ რატცელის და შვედი რუდოლფ კელენის ნაშრომებში.

სამხედრო-სტრატეგიული თეორიები

სამხედრო-სტრატეგიული კვლევების სფეროში აღიარებულ ავტორებს წარმოადგენენ **ნიკოლო მაკიაველი** (1469-1527), **კარლ კლაუზევიცი** (1780-1831), **ჰელმუტ მოლტკე** (1848-1916) და სხვები.

ნიკოლო მაკიაველის ნაშრომში "მთავარი" მოცემულია რიგი საგულისხმო დებულებები იმის თაობაზე, რომ ტერიტორიული ექსპანსია უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოთა რეალური ძლიერების შედარებით შეფასებას, ახალ შეერთებულ ტერიტორიებზე კონტროლის შენარჩუნება უნდა მოხდეს იქ კოლონიების შექმნით, დედაქალაქის გადატანით, მეზობელი სახელმწიფოებისგან იზოლაციით და ა.შ.

ცნობილი გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი კარლ კლაუზევიცი ნაშრომში "ომის შესახებ" ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო საშიში მდგომარეობიდან ძალის ფაქტორის გათვალისწინებითა და გამოყენებით უნდა გამოვიდეს და ა.შ.

სამხედრო-სტრატეგიული თეორიების დამუშავებასა და გაღრმავების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ამერიკელი სამხედრო-საზღვაო თეორეტიკოსისა და ისტორიკოსის **ალფრედ მეჰენის** (1840-1914) ნაშრომებმა. 1890 წ. გამოვიდა მისი კაპიტალური ნაშრომი "საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე". მეჰენი გეოპოლიტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა.

სამხედრო-სტრატეგიულმა თეორიებმა გეოპოლიტიკის მეთოდოლოგიაში შეიტანეს მნიშვნელოვანი იდეა საკვანძო პუნქტებისა და ზონების შესახებ, რომელთა ფლობაც შესაძლებლობას იძლევა გაკონტროლდეს პოტენციური მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. თანამედროვე პირობებში - გლობალიზაციისა და კოსმოსური ტექნოლოგიების დროს - ეს მიდგომები თვისობრივად ახალ მნიშვნელობას იძენს.

ცივილიზაციური მიდგომა

ცივილიზაციური მიდგომა ისტორიული პროცესის მთავარ სუბიექტად არა სახელმწიფოებსა და ერებს, არამედ დიდ კულტურულ-რელიგიურ ერთობებს მიიჩნევს. ამ მიდგომის ერთ-ერთი ფუძემდებელია რუსი მეცნიერი ნიკოლაი დანილევსკი (1822-1885), რომელმაც წიგნში "რუსეთი და ევროპა"(1868) გამოყო დიდი "კულტურულ-ისტორიული ტიპები". ამ საფუძველზე იგი ევროპისაგან რუსეთის გაუცხოებას ასაბუთებდა. მოგ-

ვიანებით ასეთი ერთობების აღსანიშნავად დამკვიდრდა "ცივილიზაციის" ცნება.

XIX-XX სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა ცივილიზაციური კონცეფციები, რომელთა ავტორებიც იყვნენ რუსი ფილოსოფოსი კონსტანტინ ლეონტიევი (1831-1891), გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი (1880-1936), რუსი ევრაზიელები პეტრე სავიცკი (1895-1968) და ლევ გუმილიოვი (1912-1992). ცივილიზაციური მიდგომა ყველაზე საფუძვლიანად დაამუშავა ინგლისელმა ისტორიკოსმა არნოლდ ტოინბიმ (1889-1975).

ცივილიზაციური მიდგომა უაღრესად აქტუალური გახდა XX ს. ბოლოს და XXI ს. დამდეგს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამერიკელი პოლიტოლოგის **სემუელ ჰანთინგტონის** (1927-2008) ნაშრომმა "ცივილიზაციათა შეჯახება?" (1993 წ.). ავტორი ასაბუთებს, რომ ახალ საუკუნეში კონფლიქტების ძირითადი წყარო ეკონომიკა ან იდეოლოგია კი არა, არამედ ცივილიზაციური განსხვავებანი იქნება. ჰანთინგტონის აზრით, 21-ე საუკუნის მსოფლიო 7-8 დიდი ცივილიზაციის მეტოქეობის არენა იქნება.

მრავალი მეცნიერის აზრით, რომლებიც ცივილიზაციურ თეორიას ამუშავებენ, ცივილიზაციების გეოგრაფიული საზღვრები განსაზღვრავენ დიდი სახელმწიფოების "ბუნებრივი" გავლენის ფარგლებს, მათი სასიცოცხლო ინტერესების სფეროებს და სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის ტერიტორიებს. გეოპოლიტიკისადმი ამგვარ მეთოდოლოგიურ მიდგომაში მკაფიოდ ჩანს მოცემული მეცნიერების გეოგრაფიის "გავლენიდან" გამოსვლისა და უნივერსალურ დისციპლინად გადაქცევის ტენდენცია.

ბიოპოლიტიკა

გეოპოლიტიკის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა რასისტულმა თეორიებმაც, რომელთაც სხვაგვარად ბიოპოლიტიკასაც უწოდებენ.

უკვე ძველ დროში მონათმფლობელობის გასამართლებლად ხშირად მიმართავდნენ რასიზმს, იგივე არგუმენტს იყენებდნენ იმ ხალხების მიმართაც, რომლებთანაც საომრად ემზადებოდნენ. არცთუ იშვიათად კი მოწინააღმდეგეს "დაბალი რასის" წარმომადგენლებად აცხადებდნენ.

რასობრივ ან ეროვნულ განსაკუთრებულობაზე მითითება ხშირად მნიშვნელოვან ამოსავალ პოზიციას წარმოადგენდა საერთაშორისო ვითა-

რების გეოპოლიტიკური ანალიზის დროს. მისი საწყისები მოცემულია ფრანგი ფილოსოფოსისა და დიპლომატის **ჟოზეფ არტურ დე გობინოს** (1816-1882) და ინგლისელი სოციოლოგის **ჰიუსტონ სტიუარტ ჩემბერლენის** (1855-1927) ნაშრომებში.

გობინო თავის უმთავრეს ნაშრომში "ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ" (1853-1855) ცდილობდა დაესაბუთებინა გაბატონებული ელიტის არსებობის აუცილებლობა და წამოაყენა თეორია, რომლის თანახმადაც რასობრივ განსხვავებებთან დაკავშირებული უთანასწორობა და, აქედან გამომდინარე, რასების ბრძოლა ხალხთა განვითარების მამოძრავებელი ძალაა. გობინოს აზრით, კულტურული განვითარების უნარი ყველაზე მეტად თეთრ (არიულ) რასას გააჩნია, განსაკუთრებით კი მის გერმანულ შტოს. ესწრაფვის რა თავის გავლენის გაფართოებას, არიული რასა ერევა სხვა რასებს, ეს კი ამცირებს მის უნარსა და კულტურას. ამას მოსდევს უმაღლესი რასების მიერ გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვა და დემოკრატიის წარმოშობა, რასაც გობინო სახელმწიფოს ცუდ ფორმად მიიჩნევდა.

გობინოს თეორიის მრავალი დებულება გამოიყენეს ჰიტლერმა და ნაციზმის სხვა იდეოლოგებმა, რათა "დაესაბუთებინათ" გერმანელთა მსოფლიოზე ბატონობის "უფლება". "სასიცოცხლო სივრცის" და "ბუნებრივი საზღვრების" კონცეფციები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ გერმანულ გეოპოლიტიკაში, მთლიანად ემყარებოდა გერმანელთა რასობრივი უპირატესობის იდეას.

დღესაც სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული დავების დროს მხარეები ხშირად მიუთითებენ სადავო ტერიტორიების ეთნიკურ შემადგენლობაზე. ასეთი ტერიტორიების რასობრივ და ეროვნულ შემადგენლობას საგულდაგულოდ ითვალისწინებენ მთავრობები საგარეო, ზოგჯერ კი საშინაო პოლიტიკის დაგეგმვის დროსაც.

2. გეოპოლიტიკის წარმოშობის ისტორიული პირობები

გეოპოლიტიკის როგორც სამეცნიერო დისციპლინის წარმოშობა განპირობებული იყო XIX ს. ბოლოსა და XX ს. დამდეგისათვის შექმნილი

რეალობით. ამ დროისათვის ფაქტობრივად ამოიწურა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ტერიტორიულ-სივრცითი ექსპანსიის შესაძლებლობები. დედამიწა უკვე "განაწილებული იყო" - ამიერიდან სახელმწიფოებს აღარ შეეძლოთ თავიანთი ჭარბმოსახლეობის პრობლემები ახალი მიწების ათვისებით, ხოლო ნედლეულისა და ბაზრების ნაკლებობა - ახალი ტერიტორიების დაპყრობით გადაეწყვიტათ. დაიწყო და სულ უფრო მწვავდებოდა ბრძოლა უკვე გაყოფილი მსოფლიოს გადანაწილებისათვის.

ჯერ კიდევ ბერლინის კონფერენციაზე (1884-1885 წწ.) 14 სახელმწიფო ცდილობდა აფრიკის კოლონიური განაწილების მოწესრიგებას. გადაწყდა "კანონიერად" ჩაეთვალათ კოლონიური დაპყრობანი, თუკი ისინი "რეალური და ეფექტური იყო" და "შეატყობინეს დანარჩენ სახელმწიფოებს".

გეოპოლიტიკასა და იმპერიალიზმს შორის კავშირზე ცნობილი გეოპოლიტიკოსებიც მიუთითებდნენ. მაგალითად, ადოლფ გრაბოვსკი 1928 წელს წიგნში "სახელმწიფო და სივრცე" აღნიშნავდა, რომ გეოპოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად "უნდა დამდგარიყო იმპერიალიზმის ეპოქა, რომელშიც ბატონობს სივრცისაკენ სწრაფვა". ეს ეპოქა "მთლიანად სივრცის ნიშნის ქვეშ" ცხოვრობს, რამაც წარმოშვა "სივრცისა და მისი პოლიტიკისადმი მიმართების დეტალური შესწავლის აუცილებლობა".

დედამიწა "გამთლიანდა" არა მარტო ტერიტორიული განაწილების, არამედ ერთიანი მსოფლიო ბაზრის ფორმირების მზარდი ტენდენციის შედეგადაც. წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება ჰქონდათ. თავისი როლი შეასრულა კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამაც. ორთქლის გემები, რკინიგზა, ტელეგრაფი მნიშვნელოვნად "აპატარავებდა" დედამიწას. მსოფლიო ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული გახდა.

ისტორიამ მართლაც მსოფლიო ხასიათი შეიძინა. საერთაშორისო პოლიტიკაში საჭირო იყო არა მხოლოდ ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბებული ძალთა ბალანსის გათვალისწინება, არამედ მთლიანად "ჩაკეტილ მსოფლიოში" არსებული სიტუაციის მხედველობაში მიღებაც, სადაც, იმპერიულ პოლიტიკაში აქტიური არაევროპელი "მოთამაშეებიც" გაჩნდნენ აშშ-სა და იაპონიის სახით. ამის მაუწყებელი იყო აშშ-ესპანეთის 1898-1899 წწ. და რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წწ. ომები. ამ ახალი ვითარების შესახებ ნ.უილკინსონი 1904 წელს აღნიშნავდა, რომ თუ XIX ს.

შუახანებში სახელმწიფო მოღვაწეები საჭადრაკო დაფის რამდენიმე უჯრაზე თამაშობდნენ და დანარჩენი უჯრები თავისუფალი რჩებოდა, XX ს. დამდეგისათვის მსოფლიო "ჩაკეტილ საჭადრაკო დაფად გადაიქცა და სახელმწიფო მოღვაწის ყველა მოძრაობა უნდა ითვალისწინებდეს მის ყველა უჯრას".

გეოპოლიტიკური აზროვნების არსი

გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ რატცელმა (1844-1904) და მისმა მიმდევრებმა საფუძველი ჩაუყარეს დისციპლინას, რომელიც მოწოდებული იყო შეესწავლა გეოგრაფიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი. პოლიტიკა, მათი აზრით, განისაზღვრებოდა სახელმწიფოს მდებარეობით, მის მიერ დაკავებული სივრცითა და საზღვრებით.

დღეისათვის, მიუხედავად გეოპოლიტიკის ცნების მრავალი გააზრების მცდელობისა, არ არსებობს ამ დისციპლინის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება.

გეოპოლიტიკა, ყველაზე ზოგადი განსაზღვრების თანახმად, შეისწავლის იმ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას, რაც არსებობს სახელმწიფოს პოლიტიკასა და იმ გეოგრაფიულ გარემოს შორის, რომლის ფარგლებშიც იგი ხორციელდება.

ინგლისელი გეოპოლიტიკოსი უოტკინ დევისი, სფიქმენისა და მაკინდერის მიმდევარი, გეოპოლიტიკის ამოსავალ დებულებებს შემდეგნაირად აყალიბებდა: "გეოგრაფია უმთავრესი ფაქტორია სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისათვის, რადგანაც ის ყველაზე მუდმივ ფაქტორს წარმოადგენს"; ისტორია მოძრაობაში მოყვანილი გეოგრაფიაა - აღნიშნავდნენ გეოპოლიტიკოსები.

გეოპოლიტიკის განვითარების ორი პერიოდი

გეოპოლიტიკის როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებაში ორი დიდი პერიოდი შეიძლება გამოიყოს. ქრონოლოგიურად პირველი იწყება XIX ს. ბოლოდან და გრძელდება XX ს. შუახანებამდე. ამ პერიოდის გეოპოლიტიკურ თეორიებს ლიტერატურაში ტრადიციულ გეოპოლიტიკას, ან გეოპოლიტიკის კლასიკურ თეორიებს უწოდებენ.

კლასიკური გეოპოლიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ფრიდრიხ რატცელი, რუდოლფ კელენი, ალფრედ მეჰენი, ჰელფორდ მაკინდერი, ჯ.ფეირგრივი, რომელმაც შეავსო მაკინდერის სქემა, ი.ბოუმენი და ნ.სპიკმენი. XX საუკუნის დამდეგს თავიანთი გეოპოლიტიკური შეხე-

დულებანი ჩამოაყალიბეს აგრეთვე ლ.ს.ემერიმ, ლორდმა კერზონმა, ი.პარჩმა და სხვებმა, თუმცა მთლიანობაში ისინი იმეორებდნენ გეოპოლიტიკის კლასიკოსთა ძირითად დებულებებს.

აგრესიული პოლიტიკის გამართლებასთან და, კერძოდ, ნაცისტური გერმანიის პოლიტიკასთან გაიგივებამ გეოპოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ხნით "დაასამარა". კომუნისტურ ქვეყნებში და კერძოდ საბჭოთა კავშირში გეოპოლიტიკა აკრძალულ დისციპლინათა რიგს განეკუთვნებოდა და მხოლოდ მისი ზედაპირული კრიტიკა შეიძლებოდა. დასავლეთშიც მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებდა თვით ცნების - "გეოპოლიტიკის" გამოყენებასაც კი. მათთვის გეოპოლიტიკა ცრუმეცნიერება, "კრიმინალური ინტელექტუალური მოვლენა" იყო. "გეოპოლიტიკამ" უარყოფითი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. ამ ცნებით აღინიშნებოდა საერთაშორისო არენაზე აგრესიული მისწრაფებების ნებისმიერი გამოვლინება, ტერიტორიული გაფართოების პოლიტიკა.

გეოპოლიტიკის აღორძინება, თითქმის ორმოცწლიანი აკრძალვისა და დავიწყების შემდეგ, იწყება XX ს. 80-იანი წლებიდან. თანამედროვე გეოპოლიტიკა განსხვავდება ტრადიციული გეოპოლიტიკისაგან როგორც პრობლემატიკით, ისე საკითხების გააზრების წესით.

3.მოსაზრებანი გეოპოლიტიკის საგნის შესახებ

ისევე როგორც ნებისმიერ მეცნიერებას, გეოპოლიტიკას აქვს თავისი კვლევის საგანი. ყველაზე ზოგადად თუ ვიტყვით, ამ საგანს სივრცისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესწავლა წარმოადგენს. ამასთან, ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ გეოპოლიტიკის საგანი განუწყვეტლივ იცვლება, მისი კვლევის ობიექტი ხდება ბუნებისა და კაცობრიობის განვითარების ახალი პრობლემები.

გეოპოლიტიკური პრობლემატიკის არსი

გეოპოლიტიკაზე საუბრისას საქმე ყოველთვის ეხება მტრობას გარკვეულ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ხელისუფლებათა შორის. მაგრამ ტერიტორიული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის საუკ-

უნეების მანძილზე არსებობს - მასზე წერენ ისტორიკოსები. ასეთ შემთხვევაში რიგი განსხვავდება გეოპოლიტიკა ისტორიისაგან და რა მოაქვს ახალი მასთან შედარებით? ამ კითხვაზე პასუხი შემდეგია: გეოპოლიტიკა - ესაა დებატები ერის ტერიტორიული პრობლემებისა და ქვეყნის საზღვრების გარშემო.

გეოპოლიტიკის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს და მას ძალზედ განსხვავებული მნიშვნელობებით იყენებენ. გეოპოლიტიკის კვლევის საგანი სხვადასხვა გამოცემებში და სხვადასხვა ავტორებთან იმდენად ფართოდ და წინააღმდეგობრივადაა ფორმულირებული, რომ თავისთავად ჩნდება კითხვა - არის თუ არა საერთოდ გეოპოლიტიკა სამეცნიერო დისციპლინა. ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ გეოპოლიტიკა შეისწავლის ურთიერთობებს ისეთ სივრცულ-გეოგრაფიულ ერთეულებს შორის, როგორიცაა ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები.

შეიძლება ვილაპარაკოთ "გეოპოლიტიკის" რამდენიმე გაგებაზე. ვიწრო გაგებით გეოპოლიტიკა გაიგივებულია XX ს. პირველი ნახევრის გეოპოლიტიკის გერმანულ სკოლასთან. როგორც ცნობილია, სწორედ ამ სკოლის მიერაა შემოღებული დისციპლინის აღნიშნული სახელწოდება.

გეოპოლიტიკის ტრადიციული განსაზღვრებები

გეოპოლიტიკის ჩამოყალიბება, ტრადიციულად, განიხილება როგორც მისი გამოყოფა პოლიტიკური გეოგრაფიისგან. ამიტომ ფართოდაა გავრცელებული გეოპოლიტიკის გენეტიკური განსაზღვრება. მისი არსი მდგომარეობს გეოპოლიტიკასა და პოლიტიკურ გეოგრაფიას შორის განსხვავების დაფიქსირებაში (იხ. პარაგრაფი გეოპოლიტიკისა და პოლიტიკური გეოგრაფიის ურთიერთმიმართების შესახებ).

გავრცელებულია აგრეთვე გეოპოლიტიკის ორგანული განსაზღვრებები. ასეთი მიდგომის თანახმად გეოპოლიტიკა მიიჩნევა მეცნიერებად სახელმწიფოს როგორც ცოცხალი ორგანიზმის შესახებ, ზოგჯერ საუბრობენ სახელმწიფოს როგორც ზებიოლოგიური ორგანიზმის შესახებ.

გეოპოლიტიკის როგორც მეცნიერების არსის გასაგებად მნიშვნელოვანია მისი ინსტრუმენტული განსაზღვრება. ამ თვალსაზრისით

გეოპოლიტიკა განისაზღვრება როგორც ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას და შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებული იქნას გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორები.

ჩვეულებრივ, გეოპოლიტიკის ქვეშ იგულისხმება:

- მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს სახელმწიფო პოლიტიკაზე გეოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ზეგავლენას;

- სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, რომლის შემუშავება და განხორციელება დამოკიდებულია გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სტრატეგიულ ფაქტორებზე.

ზოგადად თუ ვიტყვით, გეოპოლიტიკის საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების აქტუალური საკითხები, ეროვნული ინტერესები, პოლიტიკისა და გეოგრაფიული ფაქტორების კანონზომიერი ურთიერთკავშირი. უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც გეოპოლიტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს, შემდეგია:

- სივრცითი ურთიერთობები ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის;

- შესაბამისი სივრცის შიდა მოწყობა (გეოგრაფიული შესაძლებლობებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის პრინციპების კონფიგურაციული შეხამება);

- ხალხის ცხოვრება კონკრეტულ-გეოგრაფიულ გარემოსა და კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებაში;

- სახელმწიფოს დამოკიდებულება მიწისადმი, მატერიალური დოვლათის წარმოებისადმი;

- დემოგრაფიული პრობლემები;

- ტერიტორიის "თვისებების", ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალური გამოყენება;

- კომუნიკაციური და ორგანიზაციული ურთიერთქმედებების ინფრასტრუქტურა;

- გლობალური და რეგიონალური (ეროვნული) განვითარების სტრატეგია, ერის გეოპოლიტიკური სტრატეგია და ა.შ.;

- მსოფლიო გეოპოლიტიკის ტენდენციები და ა.შ.

რუდოლფ კელენი (1864-1922), რომელმაც შემოიტანა ტერმინი გეოპოლიტიკა ნაშრომში „სახელმწიფო როგორც სიცოცხლის ფორმა“ (1916)

შემდეგნაირად განსაზღვრავდა გეოპოლიტიკის საგანს: „გეოპოლიტიკა ესაა მეცნიერება სახელმწიფოს როგორც გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ, რომელიც სივრცეშია განსახიერებული“. გეოპოლიტიკის მიზანია სახელმწიფოთა განვითარებისთვის მსოფლიოს ტერიტორიული გადანაწილების აუცილებლობის გაცნობიერება, რადგანაც უკვე გაყოფილი მსოფლიოში სივრცის მოპოვება მხოლოდ იარაღის ძალით შეიძლება.
გერმანელი გეოპოლიტიკოსი კარლ ჰაუსხოფერი გეოპოლიტიკის საგანს შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „ურთერთქმედება ადამიანის გააწზრემომცველი სივრცესა და მისი ცხოვრების პოლიტიკურ ფორმებს შორის“

გეოპოლიტიკის ტრადიციულ განსაზღვრებათა კრიტიკა

გეოპოლიტიკის ტრადიციულ განსაზღვრებათა თანახმად, გეოპოლიტიკა არის "გეოგრაფიის ბუნებრივ მონაცემებსა და ქვეყნის პოლიტიკას შორის კავშირების შესწავლა". **ლარუსის** ლექსიკონის თანახმად, გეოპოლიტიკა "იმ კავშირების შესწავლაა, რაც ქვეყნებს, მათ პოლიტიკას დაა ბუნებრივ კანონებს აერთიანებს და ეს უკანასკნელი განაპირობებს დანარჩენებს".

ლარუსის დიდი უნივერსალური ლექსიკონი (1989) გეოპოლიტიკას განსაზღვრავს როგორც "მეცნიერებას, რომელიც სწავლობს კავშირებს ქვეყნის გეოგრაფიასა და მათ პოლიტიკას შორის. გეოპოლიტიკა გამოხატავს ნებას წარმართოს მთავრობათა ქმედებები გეოგრაფიის გაკვეთილების თვალთახედვით".

ივ ლაკოსტს ასეთი განსაზღვრებები არასწორად მიაჩნია: თუ "ბუნების კანონები განაპირობებენ ქვეყნების პოლიტიკას", როგორ ავხსნათ, რომ ამ უკანასკნელთ შეუძლიათ თავიანთ პოლიტიკაში ეფექტური და მტკიცე ცვლილებების განხორციელება და არა მხოლოდ რევოლუციების დროს?", - კითხულობს იგი.

კლასიკური განსაზღვრებები შეზღუდულია, რადგან მიუთითებს რა კავშირებზე გეოპოლიტიკასა და გეოგრაფიას შორის, არ განმარტავს, თუ რა კავშირებზეა ლაპარაკი. ამასთან გეოგრაფია უბრალო ბუნებრივ მოვლენებამდე დაჰყავს.

ტრადიციულ გეოპოლიტიკას უპირისპირდება "ახალი გეოპოლიტიკური სკოლა", რომელიც ძირითადად ფრანგი ავტორებითაა წარმოდგენილი. ფრანსუა ტიუალის თქმით, "გეოპოლიტიკის ახალი თვალთახედვის" წარმომადგენლები არიან ივ ლაკოსტი - ცნობილი "გეოპოლიტიკური ლექსიკონის" ავტორი, ფუშე - საზღვრების პრობლემატიკის სპეციალისტი, კუტო-ბეჟარი (Couto-Begarie) - ოკეანეთა გეოპოლიტიკის ავტორი, მორო-დესფარჟე (Moreau Desfarges) - საერთაშორისო ურთიერთობათა ცნობილი სპეციალისტი; რუფინი (Rufin) - "იმპერიისა და ახალი ბარბაროსების" ავტორი; ჟუო (Joyaux) - აზიის გეოპოლიტიკის სპეციალისტი.

გეოპოლიტიკის საგნის გაფართოება

XX ს. მეორე ნახევარში შეიცვალა წარმოდგენები ისეთი ფუნდამენტური გეოპოლიტიკური კატეგორიების შესახებ, როგორიცაა სივრცე, სახელმწიფო ტერიტორია, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება. ახლა გეოპოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს მსოფლიო განვითარების ისეთი ფენომენები როგორიცაა ადამიანთა მასობრივი მიგრაცია, გარემო პირობების გაუარესება, მასობრივი მოსპობის იარაღის გავრცელება, კავშირგაბმულობისა და გადაადგილების საშუალებების განვითარება და ა.შ. ზემოთაღნიშნული ფაქტორების შესწავლამ მნიშვნელოვნად გააფართოვა როგორც გეოპოლიტიკური თეორიის ფარგლები, ისე მისი კვლევის მეთოდები.

უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა გეოპოლიტიკის საგნის ერთგვარი გაფართოება. გეოპოლიტიკაზე დღეს ლაპარაკობენ ქვეყნებს შორის კონფლიქტების დახასიათებისას თუ ახალი ქვეყნების წარმოქმნისა და მათი საზღვრების მოხაზულობასთან დაკავშირებით, გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიებისა თუ რელიგიების ექსპანსიების განხილვისას და ა.შ. ანუ ზოგადად რომ ვთქვათ, საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების დახასიათებისას. ეს, ასე ვთქვათ, გეოპოლიტიკის ტრადიციული სფეროა.

მაგრამ უკანასკნელ წლებში გეოპოლიტიკაზე ლაპარაკობენ აგრეთვე ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების განხილვის დროსაც: რეგიონალური ხასიათის მოთხოვნები, საარჩევნო შედეგების გეოგრაფია, ადმინისტრაციული ოლქების დაყოფა თუ გამსხვილება ან ტე-

რიტორიული მოწყობის საკითხები, ეთნიკური ჯგუფების თუ უმცირესობების მიერ წამოყენებული ავტონომიებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნები.

შეიძლება ითქვას, რომ "გეოპოლიტიკა" სამი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება:

- გეოპოლიტიკა განიხილება როგორც მეცნიერება, გარკვეული სახის სწავლება;

- რეალობა, რომელიც ამ მეცნიერების საგანს წარმოადგენს (ან, უფრო სწორად, გააზრებულია როგორც ამ მეცნიერების საგანი). ეს რეალობები განიხილება გარკვეული სივრცობრივ ჩარჩოებში (აფრიკის გეოპოლიტიკა, ბეირუთის გეოპოლიტიკა), ან გარკვეული პოლიტიკური მონაწილეების მიხედვით. ამ უკანასკნელთა ქმედებაც განიხილება როგორც გეოპოლიტიკური;

- მოქმედება (გეგმა, სტრატეგია) გეოპოლიტიკური რეალობის შესაცვლელად. ივ ლაკოსტის თქმით, "ჟურნალისტთა ნაწერებში, ისევე როგორც სხვადასხვა სპეციალისტთა ნაშრომებში, ნათლად ჩანს, რომ გეოპოლიტიკა დღეს განიხილება არა იმდენად როგორც მეცნიერება ან ცოდნა, რამდენადაც როგორც ქმედება, გეგმა სტრატეგია".

ამ სფეროში კონკრეტული ანალიზი კეთდება ხელისუფალთა შორის არსებული ტერიტორიული მეტოქეობის შესახებ, რომლის მონაწილეებს და, განსაკუთრებითთ, მეთაურებს თავიანთი გეგმები და სტრატეგიები აქვთ. მეთაურები ხშირად იყენებენ სპეციალისტთა მიერ მიწოდებულ ახსნა-განმარტებებს თავიანთი გეგმებისა და სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად და შესაცვლელად.

გეოპოლიტიკა - დისციპლინა თუ მეთოდი

გეოპოლიტიკის საგანზე მსჯელობის დროს წარმოიშობა საკითხიც, იმასთან დაკავშირებით თუ რითი განსხვავდება გეოპოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების და საგარეო პოლიტიკის ზოგადთეორიული კვლევებისაგან. ამ საკითხზე პასუხის გაცემისას განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება, რომ გეოპოლიტიკა - ანალიზის მეთოდია, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის წესი.

გეოპოლიტიკის ფრანგული სკოლა რომელიც "ახალი გეოპოლიტიკის" დაფუძნების ინიციატივით გამოდის, გეოპოლიტიკას არ მიიჩნევს მეცნიერებად, რადგანაც ფრანსუა ტიუალის თქმით "არ არსე-

ბობს ზოგადი კანონები". გეოპოლიტიკა მათთვის მხოლოდ მეთოდს წარმოადგენს. - "გეოპოლიტიკა მეცნიერება არ არის. ესაა მეთოდი, ერთგვარი მანერა, რომელიც მოვლენათა ღრმა მნიშვნელობის გარკვევაში გვეხმარება".

გეოპოლიტიკური ანალიზის დროს მხედველობაში მისაღები პარამეტრები ძალიან მრავალრიცხოვანია და განსხვავებული თითოეული სიტუაციისათვის. არ არსებობს გეოპოლიტიკური ქცევის ტიპიური მოდელი. კრიზისების დროს გადამწყვეტი აღმოჩნდება ხოლმე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, იდეოლოგიური თუ რელიგიური ფაქტორები. მაგრამ ფაქტორების იერარქია ყოველთვის ერთგვარი არ არის. ფრანსუა ტიულის თქმით, "არ არსებობს გეოპოლიტიკის ზოგადი კანონები, არსებობენ მხოლოდ ფაქტორები, რომელნიც სხვადასხვაგვარად კომბინირებენ, იმ შემთხვევაშიც კი თუ აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტორები ყოველთვის ერთი და იგივეა".

ფუნდამენტური და გამოყენებითი გეოპოლიტიკა

გეოპოლიტიკის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ორი საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულება:

- დოქტრინალურ-ნორმატიული გეოპოლიტიკა, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ მთელი გერმანული გეოპოლიტიკა;

- შეფასებით კონცეპტუალური გეოპოლიტიკა, რომლის ტიპიურ წარმომადგენლებად შეიძლება მივიჩნიოთ მაკინდერი, სფიქმენი და კოენი.

თუმცა, გეოპოლიტიკის ეს ორივე მიმართულება შეიძლება გავაერთიანოთ "ფუნდამენტური" გეოპოლიტიკის ცნების ქვეშ, რომელიც შეისწავლის პლანეტის გეოპოლიტიკური სივრცის განვითარებას და მისგან გავმიჯნოთ ე.წ. "გამოყენებითი" გეოპოლიტიკა.

გამოყენებითი გეოპოლიტიკა შეიმუშავებს რეკომენდაციებს მსოფლიო არენაზე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ქცევის სტრატეგიული ხაზის თაობაზე. ამ ტერმინის შემოტანას ლაკოსტის სკოლას უკავშირებენ. გამოყენებით გეოპოლიტიკას "მინიმალურ გეოპოლიტიკას" ან "პრაქტიკულ გეოპოლიტიკასაც" უწოდებენ ხოლმე.

გამოყენებითი გეოპოლიტიკა აანალიზებს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სუვერენული სახელმწიფოების წარმოშობა და დაშლა, ნაციონალიზმი, გლობალიზმი და რეგიონალიზმი, სატრანსპორტო დე-

რეფნები და დამოკიდებულება ენერგორესურსების მიმართ, საერთა-შორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების მზარდი როლი და სხვა მრავალი. პრაქტიკული გეოპოლიტიკის სფეროში შე-დის ყველაფერი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს ტერიტორიულ პრობლემებთან, მის საზღვრებთან, რესურსების, მათ შორის ადამიან-ურის, რაციონალურ გამოყენებასა და განაწილებასთან.

გამოყენებით გეოპოლიტიკას გეოსტრატეგიასაც უწოდებენ. გე-ოსტრატეგია განიხილება როგორც გეოპოლიტიკური და გეოეკონომ-იკური ინტერესების სტრატეგიული მართვა. გეოსტრატეგია ასაბუთ-ებს სახელმწიფოთა მოღვაწეობის გეოპოლიტიკურ მიმართულებას სა-ერთაშორისო არენაზე. ეყრდნობიან რა გეოპოლიტიკურ კონცეფციებს, ცალკეული ქვეყნების ხელისუფალნი სამხედრო ან დიპლომატიური გზებით ატარებენ ექსპანსიის ან ტერიტორიების დაცვის პოლიტიკას, ქმნიან ალიანსებს, გავლენის სფეროებს, აშენებენ სამხედრო ბაზებს. სივრცის გეოგრაფიული თავისებურებების მიხედვით გეოსტრატეგია შეიძლება დაიყოს სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, კოსმოსურ გეოს-ტრატეგიად. გეოსტრატეგიის მასშტაბი შეიძლება იყოს გლობალური, მაკრორეგიონული, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული.

ტრადიციული მიდგომის თანახმად, გეოსტრატეგია უფრო მე-ტად უკავშირდება სამხედრო სფეროს, ვიდრე პოლიტიკურს ან გეოგ-რაფიულს. გეოსტრატეგიის მიზანია გამოარკვიოს სამხედრო ბაზების განლაგებისა და ეკონომიკური რესურსების მნიშვნელობა სტრატეგი-ული გადაწყვეტილებების მიღების დროს. მშვიდობიან დროს გეოს-ტრატეგია აფასებს სახელმწიფოთა სამხედრო-ეკონომიკურ სტრატეგი-ას.

სახელმწიფოებისა და გეოპოლიტიკის სხვა სუბიექტების სამ-ხედრო შესაძლებლობები არ წარმოადგენენ თვითკმარ სიდიდეებს. თავისთავად აღებული, ისინი არაფერს ნიშნავენ და აზრს იძენენ მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ შესაძლებლობებთან შედა-რებისას.

მშვიდობიან დროს გეოპოლიტიკის სამხედრო ფაქტორი წარ-მოდგება არა იმდენად მხარეთა რეალური ძალის, მათი ობიექტური სამხედრო შესაძლებლობების სახით, რამდენადაც მათ შესახებ სუბი-ექტური წარმოდგენების სახით. როგორც ასეთი, ის არცთუ იშვიათად იძენს ფანტომის ხასიათს, რომელსაც ნაკლები საერთო აქვს რეალობ-

ასთან. ძნელია ისტორიიდან გავიხსენოთ მაგალითი, როდესაც მთავრობებს ან სამხედროებს სწორად განესაზღვრათ, თუ რა გავლენას ახდენს გეოპოლიტიკურ პროცესსა და სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო აქტიურობა და რა სამხედრო ძალები ესაჭიროება კონკრეტულ სახელმწიფოს იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს დღის მოთხოვნებს.

4. კლასიკური გეოპოლიტიკის ზოგადი დახასიათება

XX ს. დამდეგის წარმოდგენები საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ ემყარებოდა სახელმწიფოთა ტერიტორიის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების პრინციპებს. ამასთან, გეოპოლიტიკის ფუძემდებელთა აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სივრცით, ტერიტორიულ საწყისს. გეოპოლიტიკოსთა განმარტებით, ამა თუ იმ სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკას განსაზღვრავდა მისი გეოგრაფიული მახასიათებლები, სახელმწიფოს ძლიერება მიწის ბუნებას ეფუძნებოდა. გეოპოლიტიკის მთავარ ამოცანად მიჩნეული იქნა სახელმწიფოების როგორც სივრცით-გეოგრაფიული ფენომენების შესწავლა და მათი ურთიერთობის არსის გააზრება.

ტრადიციული (კლასიკური) გეოპოლიტიკა სახელმწიფოთა განვითარების და საგარეო პოლიტიკის ანალიზის დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას გეოგრაფიულ ფაქტორებს ანიჭებდა - საზღვრების ხასიათს, წიაღისეულის და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ქონას; იგი სახელმწიფოს პოლიტიკას ხსნიდა საზღვაო თუ სახმელეთო მდებარეობით, კლიმატით, ადგილის რელიეფით და ა.შ.

ტრადიციული გეოპოლიტიკა ყოველ სახელმწიფოს განიხილავდა თავისებური გეოგრაფიული, სივრცით-ტერიტორიული ორგანიზმის სახით, რომელსაც სპეციფიური ფიზიკურ-გეოგრაფიული, ბუნებრივი, დემოგრაფიული და სხვა პირობები გააჩნდა და რომელთა ერთობლიობაც მის საკუთარ, განუმეორებელ სახეს ქმნიდა. ამასთან სახელმწიფოები საერთაშორისო არენაზე ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ საკუთარი ნებითა და ინტერესებით. გეოპოლიტიკის უმთავრეს პრობლემად კი სახელმწი-

ფოთა მიერ ტერიტორიების დაპყრობა და მათზე პირდაპირი სამხედრო და პოლიტიკური კონტროლის დამყარება განიხილებოდა.

"საზღვაო" და "სახმელეთო" გეოპოლიტიკა

ტრადიციულ გეოპოლიტიკაში თავიდანვე გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა, რომელთაც პირობითად "საზღვაო" და "სახმელეთო" გეოპოლიტიკას უწოდებენ. საზღვაო გეოპოლიტიკა სათავეს იღებს მეჰენისა და მაკინდერის (1869-1947) კონცეფციებიდან, სახმელეთო კი - რატცელის, კელენისა (1864-1922) და ჰაუსჰოფერის (1869-1946) ნაშრომებიდან.

მართალია "გეოპოლიტიკის" ცნების შემოტანა "სახმელეთო" სკოლას - კელენის სახელს უკავშირდება და შემდეგ დამკვიდრებული იქნა ჰაუსჰოფერის სკოლის მიერ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კლასიკური გეოპოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფუძემდებლური იდეა საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოების პლანეტარული დაპირისპირების შესახებ პირველად მაკინდერმა ჩამოაყალიბა და ეს სქემა შემდგომში საფუძვლად დაედო ყველა გეოპოლიტიკურ კონცეფციას.

ისიც უნდა ითქვას, რომ მეჰენმა მაკინდერზე რამდენიმე წლით ადრე - 1900 წელს წამოაყენა საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოების ანტაგონიზმისა და საზღვაო სახელმწიფოთა მსოფლიო ბატონობის იდეა, რაც უნდა განხორციელებულიყო ევრაზიის კონტინენტის გარშემო საყრდენი პუნქტების შექმნის გზით.

გეოპოლიტიკურ კონცეფციებში პლანეტარული დაპირისპირების "საზღვაო" პოლუსს ჯერ ინგლისი წარმოადგენდა (მაკინდერთან), შემდეგ კი მას გიგანტური კუნძული - აშშ ჩაენაცვლა (სფიქმენი). გეოპოლიტიკური თეორიების თანახმად, საზღვაო სახელმწიფოების ბატონობის ძირითად ინსტრუმენტს საზღვაო ვაჭრობა და სანაპირო რაიონების კოლონიზაცია წარმოადგენს.

გეოპოლიტიკური თვალთახედვის თანახმად, ანგლო-საქსურმა გეოპოლიტიკურმა ტიპმა წარმოშვა ცივილიზაციის სპეციფიური "სავაჭრო-კაპიტალისტურ-საბაზრო" მოდელი, რომელიც პირველ რიგში ეკონომიკურ, მატერიალურ ინტერესებს და ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებს ემყარება. "საზღვაო" ცივილიზაციის ზოგადი ტიპი, მიუხედავად კონკრეტული მრავალფეროვნებისა, უკავშირდება ეკონომიკის პრიმატს პოლიტიკაზე. მათგან განსხვავებით, სახმელეთო, კონტინენტური სახელ-

მწიფოები ემყარებიან პოლიტიკის პრიმატს ეკონომიკაზე, ამ ქვეყნებში დომინირებს სამხედრო-ავტორიტარული სტრუქტურები. ახალ დროში სახმელეთო სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ რუსეთის იმპერია, ავსტრია-უნგრეთის იმპერია, გერმანია. ისინი "გეოპოლიტიკურ ხმელეთს" განასახიერებდნენ.

რადგანაც სახმელეთო სახელმწიფოები ევრაზიის კონტინენტზე არიან განლაგებულნი, ისინი "ევრაზიული იდეის" მატარებლად ცხადდებიან. ევრაზიელობა გულისხმობს ავტორიტარიზმს, იერარქიულობას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპების უპირატესობას წმინდა ადამიანურ, ინდივიდუალისტურ და ეკონომიკურ ინტერესებზე. მათ საპირისპიროდ საზღვაო სახელმწიფოებს ახასიათებდათ ინდივიდუალიზმი, ეკონომიკური ლიბერალიზმი და "პროტესტანტული ტიპის დემოკრატია".

საზღვაო სახელმწიფოებს რადგანაც პირველ რიგში დიდი ბრიტანეთი და აშშ განასახიერებდნენ, ამიტომ გეოპოლიტიკური საზღვაო პოლუსის აღსანიშნავად "ატლანტიზმის" ცნება გამოიყენება.

XX საუკუნისათვის დამახასიათებელ საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოთა პლანეტარულ დუალიზმის სათავეებს რიგი გეოპოლიტიკოსები საუკუნეთა სიღრმეში ეძებენ. "საზღვაო" საწყისს ძველ დროში ფინიკია და კართაგენი წარმოადგენდნენ. პუნიკიური ომები _ კართაგენისა და რომის ბრძოლა საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოთა დაპირისპირებად განიხილება. რომი, აღნიშნულ გეოპოლიტიკოსებს სახმელეთო ცივილიზაციის განსახიერებად წარმოუდგებათ. ახალ დროში "რომის სახმელეთო იმპერიის" იდეა შუა საუკუნეების "წმინდა რომის იმპერიის" მეშვეობით გერმანიას გადაეცა, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიისა - ბიზანტიის მეშვეობით რუსეთს.

"სისხლი" და "ნიადაგი"

"სახმელეთო" გეოპოლიტიკურ კონცეფციებში ნაციონალურ-რასობრივ ფაქტორს სხვადასხვანაირი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გეოპოლიტიკოსები ყოველთვის დგებოდნენ "სისხლის" და "ნიადაგის" ურთიერთმიმართების და რომელიმე მათგანის პრიმატის აღიარების პრობლემის წინაშე. ანუ, გეოპოლიტიკური თეორიის ჩამოყალიბების დროს გადასაწყვეტი იყო საკითხი, თუ რა უნდა მიეღოთ უმთავრეს პრინციპად - ერის,

რასის, ეთნოსის ერთობა, სისხლის ერთობა თუ გეოგრაფიული სივრცის, საზღვრების ერთიანობა, ნიადაგის ერთობა.

გერმანულ გეოპოლიტიკაში კარლ ჰაუსჰოფერი და მისი მიმდევრები უპირატესობას ანიჭებდნენ "კონტინენტურ ბლოკს", გარკვეული სივრცის, ამ შემთხვევაში ევრაზიის მკვიდრთა გეოპოლიტიკურ ერთობას. თუმცა, შემდეგ ჰაუსჰოფერი "დათმობაზე წავიდა" ნაციზმისათვის დამახასიათებელი რასობრივი პრინციპის წინაშე.

ისიც უნდა ითქვას, რომ გარეგნული ნაციონალიზმისგან და რასიზმისაგან თავისუფალი გეოპოლიტიკური კონცეფციები, თუ დავუკვირდებით, მხოლოდ ფორმით განსხვავდებიან აშკარად ნაციონალისტურ-რასისტულისაგან, რადგანაც ასევე ამტკიცებენ გარკვეულ სივრცეზე რომელიმე ერის დომინირებას და სხვა ხალხების ეთნიკურ-კულტურულ ასიმილაციას ესწრაფვიან.

მაგალითად, რუსი ევრაზიელები გადაჭრით უარყოფდნენ "სლავიზმის" ("სისხლის") პრიმატს და, აქედან გამომდინარე, პანსლავისტურ თეორიებს, ამტკიცებდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ აღმოსავლეთის ხალხებთან რუსების სიახლოვეს. თუმცა აქცენტი "ნიადაგსა" და "ტერიტორიაზე" აქ მხოლოდ ამ ხალხების კულტურული ასიმილაციის წინაპირობას წარმოადგენს.

ტრადიციული გეოპოლიტიკის კრიტიკა

კლასიკური გეოპოლიტიკური თეორიები მკაცრი კრიტიკის ობიექტებიც აღმოჩნდნენ. უმთავრესი ბრალდება გეოპოლიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ იმპერიალიზმის, აგრესიის, ომების პოლიტიკის გამართლება იყო.

თანამედროვე ფრანგი გეოპოლიტიკოსი ფრანსუა ტიუალი აღნიშნავს კლასიკურ გეოპოლიტიკურ გამოკვლევათა სუბიექტივიზმს და მიუთითებს სამ მთავარ შეცდომაზე:

- ისტორიული და პოლიტიკური ჩარჩოებით შეზღუდული ტრადიციული გეოპოლიტიკის წარმომადგენლები არ კმაყოფილდებოდნენ ფაქტების ანალიზით და ცდილობდნენ შეემუშავებინათ ნორმატიული, დირექტიული და ხანდახან წინასწარმეტყველური პროგნოზებიც;

- ისინი გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ და "წარმოადგენდნენ ხელისუფლების ინტელექტუალურ წინამძღოლებს";

- ტრადიციული გეოპოლიტიკა ისტორიისგან განცალკევებით განიხილავდა საერთაშორისო ურთიერთობებსა და გეოპოლიტიკურ დაკვირვებებს, ყველა ეპოქაში და ყველგან ღირებულ კანონებს და მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ "ისტორიული მოძრაობები მხოლოდ გეოგრაფიული კანონების გამოხატულებას წარმოადგენენ".

გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები და თანამედროვეობა

გეოპოლიტიკისადმი როგორც სამეცნიერო დისციპლინისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, უდავოა, რომ კლასიკურმა გეოპოლიტიკურმა თეორიებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა გააზრებაზე, ისე სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსთა მოქმედებასა და ლექსიკონზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გეოპოლიტიკური კონცეფციების ზეგავლენით ყალიბდება "საბჭოთა ექსპანსიის შეჩერების" ამერიკული სტრატეგია, ისევე როგორც საბჭოთა ხელმძღვანელობის მისწრაფება "სანიტარული კორდონი" შეექმნა თავისი საზღვრების დასავლეთით. არსებითად, გეოპოლიტიკური აზროვნების შედეგი იყო ე.წ. "ბრეჟნევის დოქტრინა" და ა.შ.

დღეს გეოპოლიტიკური იდეოლოგიის ელემენტები ვლინდება არა მარტო დიდი სახელმწიფოების, არამედ რეგიონული ლიდერობის პრეტენზიების მქონე სახელმწიფოთა პოლიტიკაშიც; სახელმწიფოებისა, რომლებიც ადრე მხოლოდ "გეოპოლიტიკის ობიექტებს" წარმოადგენდნენ.

ჰ. მაკინდერის, რ. კელენის, კ. ჰაუსჰოფერის, ფ. რატცელის, ა. მეჰენის, ნ. სფიქმენის და გეოპოლიტიკის სხვა კლასიკოსთა ნაშრომები, მათ მიერ წამოყენებული დებულებანი სივრცის მნიშვნელობის, საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოების დაპირისპირების თაობაზე დღესაც პოულობს გამოძახილს პოლიტიკურ წრეებსა და სამხედრო სტრატეგთა შორის, წარმოადგენს ახალი გლობალური გათვლების თეორიულ ბაზას.

5. გეოპოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

რატომ „დაივიწყეს“ გეოპოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება გეოპოლიტიკის როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარების მეორე ეტაპი. უფრო სწორად თუ ვიტყვით, გეოპოლიტიკა მნიშვნელოვანწილად დისკრედიტებული აღმოჩნდა და ფაქტობრივად შეწყდა კვლევები ამ მიმართულებით. ეს მოხდა იმის გამო, რომ გეოპოლიტიკა გაიგივდა მის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო სკოლასთან - გერმანულ გეოპოლიტიკასთან, რომელსაც აქტიურად იყენებდა ნაციზმი თავის იდეოლოგიური საქმიანობის დროს.

კომუნისტურ ქვეყნებში და კერძოდ საბჭოთა კავშირში გეოპოლიტიკა აკრძალულ დისციპლინათა რიგს განეკუთვნებოდა და მხოლოდ მისი ზედაპირული კრიტიკა შეიძლებოდა. საბჭოთა კავშირში გეოპოლიტიკა გამოცხადებული იყო "ფაშისტურ ცრუმეცნიერებად". მაგალითად, 1960 წელს გამოსულ "ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში" გეოპოლიტიკა შემდეგნაირად იყო განმარტებული: "ბურჟუაზიული პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ესწრაფვის ეკონომიკური, პოლიტიკური და ფიზიკური გეოგრაფიის მონაცემების დამახინჯებული განმარტების გზით დაასაბუთოს იმპერიალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა, მათი პრეტენზიები მსოფლიო ბატონობასა და ექსპანსიაზე"

დაახლოებით იმავეს წერდა გდრ-ში მოღვაწე გიუნტერ გეიდენი: "გეოპოლიტიკა ესაა ომის იმპერიალისტური თეორია, რომელიც იცავს მონოპოლისტური კაპიტალის ინტერესებს საკუთარი ხალხისა და სხვა ხალხების ინტერესების საზიანოდ"

იგივე პოზიცია შენარჩუნებული იყო 1988 წელსაც, როდესაც "საბჭოთა ენციკლოპედიურ ლექსიკონში" გეოპოლიტიკა შემდეგნაირად იყო განმარტებული: ესაა დასავლური პოლიტოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმაც "სახელმწიფოთა პოლიტიკა, განსაკუთრებით საგარეო, ძირითადად განპირობებულია სხვადასხვა გეოგრაფიული ფაქტორებით: სივრცითი განლაგებით, გარკვეული ბუნებრივი რესურსების ქონით ან არქონით, კლიმატით, მოსახლეობის სიმჭიდროვით, მისი ზრდის ტემპით და ა.შ.".

დასავლეთშიც მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი გეოპოლიტიკას აიგივებდა ფაშიზმთან და აგრესიის გამართლებასთან და ემიჯნებოდა

მას. ისინი თავს არიდებდნენ თვით ცნების - "გეოპოლიტიკის" გამოყენებასაც კი. მათთვის გეოპოლიტიკა ცრუმეცნიერება, "კრიმინალური ინტელექტუალური მოვლენა" იყო. "გეოპოლიტიკამ" უარყოფითი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. ამ ცნებით აღინიშნებოდა საერთაშორისო არენაზე აგრესიული მისწრაფებების ნებისმიერი გამოვლინება, ტერიტორიული გაფართოების პოლიტიკა.

გეოპოლიტიკური კვლევების განვითარებას ხელს არ უწყობდა მსოფლიოში მომხდარი ცვლილებებიც. თუ კლასიკური გეოპოლიტიკა შეჩვეული იყო "მრავალპოლუსიანი მსოფლიოს" კვლევას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ბიპოლარული მსოფლიო. ძალთა განლაგება ადრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო მკაფიო და ნათელი იყო.

გარდა ამისა, ბიპოლარული მსოფლიოს პოლუსებს (საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს) შორის კონფლიქტმა თავიდანვე მიიღო იდეოლოგიური შეფერილობა. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონფლიქტის აღწერისა და კვლევისას გამოყენებული იყო არა გეოპოლიტიკური, არამედ მისგან განსხვავებული იდეოლოგიურ "კოორდინანტთა სისტემა".

"ცივი ომის" საწყის პერიოდში ტერმინ "გეოპოლიტიკას" იშვიათად იყენებდნენ აშშ-ში, მაგრამ სამხედრო-სტრატეგიულ ნაშრომებში ის გამოიყენებოდა საბჭოთა პოლიტიკის დასახასიათებლად, იგი შესაძლებლობას იძლეოდა სქემატურად და მარტივად შეედგინათ მსოფლიოს სტრატეგიული აღწერა.

აშშ-სგან განსხვავებით გეოპოლიტიკის ცნება ფართოდ იყო გავრცელებული ლათინური ამერიკის სამხედრო წრეებში, სადაც გეოპოლიტიკა საფუძვლად ედო "ეროვნული უსაფრთხოების" დოქტრინებს. აღსანიშნავია, რომ 60-იან წლებში, თავისი კარიერის დასაწყისში პოლკოვნიკმა პინოჩეტმა დაწერა თეორიული ნაშრომი "ჩილეს გეოპოლიტიკა", რომელიც შემდგომში მისთვის სახელმწიფოს მშენებლობის მოდელს წარმოადგენდა.

ფრანგი მკვლევარი **მიშელ ფუშე** თვლის, რომ სწორედ ლათინური ამერიკიდან გეოპოლიტიკის ცნება კვლავ "დაბრუნდა" აშშ-ში. კერძოდ, ეს ტერმინი პირველად საჯაროდ გამოიყენა 1977 წლის იანვარში ჰენრი კისინჯერმა, მას შემდეგ რაც იგი ბრაზილიაში შეხვდა გეოპოლიტიკოსს - გენერალ ტოლბერიეს.

გეოპოლიტიკის ცნების ინტენსიური გამოყენება დასავლეთში დაიწყო არა აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, არამედ ვიეტნამის ომის დროს, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის წარმოქმნილი დაპირისპირების, კამბოჯაში ჩინეთ-ვიეტნამის კონფლიქტთან დაკავშირებით. როგორც კი ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის საზღვარზე შეიარაღებული შეტაკებები მოხდა, ხოლო წითელმა ქხმერებმა ბრძოლა დაიწყეს ვიეტნამელ კომუნისტებთან მეკონგზე კონტროლისათვის, ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს განსაზღვრავს არა იდეოლოგიური უთანხმოებანი და დავა, არამედ ტერიტორიული პრობლემები. გეოპოლიტიკა დაბრუნდა, რათა აეხსნა სახელმწიფოთა ტერიტორიული, ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების ურთიერთკავშირი, მან უკანა რიგში გადასწია იდეოლოგიური წინააღმდეგობანი, როგორც მეორადი ხასიათისა.

სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი კელენის, რატცელის, მაკინდერის თეორიებისადმი. ჰ.კისინჯერმა შემოიტანა "მსოფლიოს გეოპოლიტიკური წონასწორობის" ცნება, განავითარა სტრატეგიული დიალოგი ჩინეთთან, გეოპოლიტიკა აქცია პრაქტიკული საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ინსტრუმენტად.

სწრაფად დაიწყო განვითარება გეოპოლიტიკის თეორიამაც. ჩამოყალიბდა ახალი გეოპოლიტიკური სკოლები საფრანგეთსა და იტალიაში, იტალიაში. გეოპოლიტიკის თეორიულ პრობლემებზე მრავალი წიგნი გამოვიდა აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში.

1970-იანი წლების შუახანებამდე გეოპოლიტიკური აზრის განვითარების მიმართულება ისეთი იყო, რომ თანდათანობით მცირდებოდა გეოპოლიტიკის გეოგრაფიული დეტერმინირებულობა და იგი სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა რეალობას.

რაკეტულ-ბირთვულ ერაში ტრადიციული გეოპოლიტიკური იდეების გადასინჯვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობა ფრანგ გენერალსა და მკვლევარს პ.გალუას ეკუთვნოდა. მისი აზრით, თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური განზომილების მნიშვნელოვან პარამეტრებს, სახელმწიფოს სივრცით-ტერიტორიულ მახასიათებლებთან ერთად, რაკეტულ-ბირთვული იარაღის გაჩენა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ათანასწორებს მის მფლობელ სახელმწიფოებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ზომა, ერთმანეთისგან დაშორება და ა.შ. გალუამ ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ მასმე-

დიის საშუალებათა და ტელეკომუნიკაციის განვითარებას, პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის უშუალო ჩარევის ზრდას შორსმიმავალი შედეგები მოსდევს კაცობრიობის გეოპოლიტიკური მომავლის თვალსაზრისით.

XX ს. 80-იანი წლების ბოლოსათვის ცხადი გახდა, რომ გეოპოლიტიკა მრავალ შინაგან წინააღმდეგობაშია გახლართული. აღმოჩნდა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში იზრდება იმ ფაქტორების მნიშვნელობა, რომელთაც შეიძლება არც ქონდეთ პირდაპირი კავშირი ფიზიკურ გარემოსთან. თავად ეს გარემოც ადრინდელთან შედარებით განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიოში მოვლენათა მსვლელობაზე. შესაბამისად, აუცილებელი იყო იმ კონცეფციებისა და მიდგომების დაზუსტება, რომელთაც ტრადიციული გეოპოლიტიკა იყენებდა. პირველ რიგში, ასეთ ახალ გარემოებებს განეკუთვნება ეკონომიკური პროცესების მზარდი ზეგავლენა მსოფლიოში გეოპოლიტიკური სიტუაციის ევოლუციაზე.

6. გეოპოლიტიკისადმი ინტერესის ზრდა თანამედროვე პირობებში

გეოპოლიტიკის აღორძინება XX ს. 80-იანი წლებიდან იწყება. თანამედროვე გეოპოლიტიკა ტრადიციული გეოპოლიტიკისაგან განსხვავდება როგორც პრობლემატიკით, ისე საკითხების გააზრების წესით.

გეოპოლიტიკა 80-იანი წლების ბოლოდან სულ უფრო ხშირად გამოიყენება პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და პირველ რიგში მასმედიის მიერ. ამ ტერმინით ჟურნალისტები ცდილობენ ახსნან ესა თუ ის ტერიტორიული დაპირისპირება და საზოგადოებრივი აზრის რეაქცია მსოფლიოში.

ზესახელმწიფოების დაპირისპირების დამთავრების შემდეგ, მანამდე შეფარვით არსებულმა თუ უმნიშვნელო საკითხებმა, რომლებზეც საერთოდ არ ლაპარაკობდნენ, უეცრად რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი სიმწვავე შეიძინა, მათ შორის ევროპასა და მიმდებარე ქვეყნებში.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ გეოპოლიტიკისადმი ინტერესის ზრდა აიხსნება არა მარტო იმით, რომ გამრავლდა გეოპოლიტიკური პრობლემები (მარტო ევროპაში 1989 წ. შემდეგ 12-მდე ახალი ქვეყანა გაჩნდა, თავისი ტერიტორიული მოთხოვნებით, მათგან რამდენიმე კი

ყოფილ იუგოსლავიაში ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა), არამედ იმითაც, რომ ამ პრობლემების ასახსნელად აღარ გამოდგება მხოლოდ ტრადიციული პასუხები, რასაც მარქსიზმი და ლიბერალიზმი მიიჩნევდნენ კონფლიქტების წარმოშობის უმთავრეს მიზეზად - ეკონომიკური ინტერესები. როგორც ივ ლაკოსტი აღნიშნავს, "ხშირ შემთხვევებში, დღეს, ერი იბრძვის ან ემზადება საბრძოლველად სხვა ღირებულებებისათვის".

კონფლიქტის მიზეზები ეკონომიკას ირიბად თუ ეხება: "მოწინააღმდეგეები იბრძვიან არა ძვირფასი რესურსების ფლობისათვის, არამედ ნაციონალური ინტერესებისათვის, თითოეული მათგანი ცდილობს თავისი ისტორიული ტერიტორიის გათავისუფლებას".

სწორედ ამიტომ აქტუალობას იძენს გეოპოლიტიკური თვალთახედვა და გეოპოლიტიკური მიდგომა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს ეკონომიკური პრობლემების უარყოფას, არც იმას, რომ "გეოპოლიტიკა, მსოფლიოს ხედვის ეს ახალი მეთოდი, ყველა შეკითხვას პასუხობს" (ივ ლაკოსტი).

რუსულ გეოპოლიტიკაში დღეისათვის კვლავ დომინირებს ტრადიციული მიდგომები, დასავლურ გეოპოლიტიკაში კი სულ უფრო შესამჩნევი ხდება ტრადიციულ მიდგომებზე უარის თქმის ტენდენცია და გადასვლა ფასეულობით მიდგომებზე.

მაგალითად, დიდი ყურადღება ეთმობა ახალი "საინფორმაციო გეოპოლიტიკის" თეორიულ დასაბუთებას. ცნობილი ამერიკელი ავტორები: ოლვინი და ჰაიდი ტოფლერი წიგნში "ომი და ანტიომი: გადარჩენა 21-ე საუკუნის განთიადზე" (1993 წ.) აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს ძველმა რუკამ თავისი დრო მოჭამა და გლობალურ სისტემებში რევოლუციური ცვლილებები მოხდებოდა იმ შემთხვევაშიც, საბჭოთა კავშირს რომ არსებობა გაეგრძელებინა. მიმდინარეობს მსოფლიო ძალების ყველაზე დიდი გადაჯგუფება ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ.

ეკონომიკა ეყრდნობა რთულ ელექტრონულ ინფრასტრუქტურას. ეს ციფრული სტრუქტურა აუცილებელია ინფორმაციის სამართავად. ინფორმაცია მთავარი სანედლეულო რესურსი გახდება ხვალინდელი დღის ეკონომიკისათვის. მაღალი ტექნოლოგიების მქონე ახალი ქვეყნებისათვის ის იქცევა იმად, რასაც გზები და ნავსადგურები წარმოადგენდა ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის.

მძლავრი ტრანსნაციონალური ბიზნესი ქმნის საინფორმაციო ქსელს, რომელიც "გვერდს უვლის ეროვნული სახელმწიფოების საზღვრებს". ძლიერდება რეგიონების ძალა. ევროპის თანამეგობრობის მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგნოზირების ინსტიტუტის დირექტორის რიკარდო პეტრელის აზრით, 21-ე საუკუნის შუახანებში ისეთი ეროვნული სახელმწიფოები, როგორიცაა გერმანია, იტალია, აშშ ან იაპონია აღარ იქნებიან ყველაზე მნიშვნელოვანი სოციოეკონომიკური ერთობები და საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური წარმონაქმნები. მათ ნაცვლად ისეთი რეგიონები როგორიცაა ოსაკა იაპონიაში, ლიონის რაიონი საფრანგეთში და რურის რაიონი გერმანიაში შეიძენენ დომინირებულ სოციოეკონომიკურ სტატუსს. გადაწყვეტილებების მიღების ჭეშმარიტი უფლება გადავა ტრანსნაციონალური კომპანიებისა და საქალაქო და რეგიონული მთავრობების ხელში.

ამ მომავლის სამყაროში დიდი სახელმწიფოები შეიძლება დაცემის გზას დაადგნენ, ერთი ციცქნა სახელმწიფოები კი გადაიქცნენ პირველხარისხოვან ვარსკვლავებად, არასახელმწიფოებრივ გაერთიანებებს შესაძლებლობა ექნებათ უკარნახონ მრავალი გადაწყვეტილება, ხოლო მოწინავე ტექნოლოგიები და შეიარაღება იქმნება პლანეტის სრულიად სხვადასხვა და შორეულ კუთხეებში.

წარმოიშობა ახალი ცნებები, რომლებიც ანგრევენ ფიზიკური გეოგრაფიული სივრცის ჩვეულებრივ აღქმას - ე. წ. "ვირტუალური ტერიტორიები". ეს კი ცვლის მკაფიო საზღვრების მქონე, ნაციონალურ-ტერიტორიულად გარკვეული სახელმწიფოს თავად კონცეფციას.

"ციფრული" რევოლუცია არა მარტო ტრანსნაციონალურია, არამედ "ანაციონალურიცაა", რადგანაც ვითარდება და მოქმედებს არა ეროვნული კანონებისა და სახელმწიფოების მეშვეობით, არამედ ეროვნული კულტურებისა და ტრადიციების მეშვეობით. ამ ახალი სივრცის ფარგლებში საზოგადოება უფრო მეტად ორიენტირებული იქნება არა სახელმწიფო კანონმდებლობაზე, არამედ ეთიკურ და პრაქტიკულ ნორმებსა და ინტერესებზე. ვირტუალური ტერიტორიების იურიდისქცია შეზღუდავს ან აკრძალავს მისაწვდომობას პაროლების ან სხვა საშუალებების მეშვეობით. ამ პროცესებს შეუძლიათ შეცვალონ თავად სახელმწიფოს კონცეფცია. ამასთან ერთად, თუმცა ციფრული ტექნოლოგიები არაკონტროლირებადია, ისინი ფართო შესაძლებლობებს ქმნიან მთელი ერთობებისათვის კონტროლის ახალი სტრატეგიების თავსმოსახვევად. არსებითად, ყა-

ლიბდება ცივილიზაციის კიდევ ერთი პლასტი - საინფორმაციო-ციფრული, ვირტუალური.

გეოპოლიტიკის თვისობრივ გადამუშავებას ცდილობენ ფრანგი მეცნიერები - ევროპული გეოპოლიტიკური ობსერვატორიის დირექტორი მ.ფუშე და გეოპოლიტიკური ჟურნალის "ჰეროდოტეს" მთავარი რედაქტორი **ივ ლაკოსტი.** 1995 წელს პარიზში ლაკოსტის რედაქციით გამოდის ვრცელი "გეოპოლიტიკური ლექსიკონი", რომელშიც მოცემულია არა მარტო გეოპოლიტიკის ახალი კონცეფცია, არამედ გაანალიზებულია მსოფლიოს გეოპოლიტიკური სტრუქტურები.

ივ ლაკოსტი ასახელებს ორ ფაქტორს, რაც ახალი გეოპოლიტიკური კონცეფციის შექმნის აუცილებლობას განაპირობებს:

1. ახალი ფაქტორები ხელს უწყობენ ტერიტორიებთან მიმართებაში ხელისუფლებათა ახალი სახის დაპირისპირებათა გაჩენას, რომლებიც ადრინდელთან შედარებით ახლებურად ვითარდება. ივ. ლაკოსტის აზრით, "ხომ არ ხდება ეს საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობის ზრდის გამო?" დღევანდელი მსოფლიოს დიდ ნაწილში პრესისა და სიტყვის თავისუფლება, მასმედიის როლის ზრდა მას გეოპოლიტიკურ ფაქტორად აქცევს, რადგანაც მასმედია გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, ცვლის თვალთახედვასა და მმართველთა გადაწყვეტილებებს;

2. მეორე ფაქტორი პირველიდან გამომდინარეობს. სპეციფიკური გეოპოლიტიკური მოვლენები არ შეესაბამება ტერიტორიებზე ხელისუფალთა ყოველგვარ დაპირისპირებას, არამედ იმას, რაც ახალია. კერძოდ კი იმ დაპირისპირებებს, რომელთა მეტ-ნაკლები ანტაგონისტური რეპრეზენტაციები ფართოდ არის გაშუქებული მედიის მიერ და მოქალაქეებს შორის პოლიტიკურ დებატებს იწვევს (რა თქმა უნდა, თუკი ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არსებობს).

ისტორიულად ამ ახალი ტიპის მოვლენების შედეგები საგრძნობლად ცვლის საერთაშორისო ურთიერთობებს და მრავალი ქვეყნის ხელისუფალთა ქმედებას. ივ ლაკოსტისათვის გეოპოლიტიკა ნიშნავს "მეცნიერების ახალ მიმართულებასა და ძიებების ახალ სფეროს, სადაც ახლა ბევრია გასაკეთებელი".

გეოპოლიტიკურ ანალიზში ლაკოსტმა შემოიტანა ახალი კატეგორია **"რეპრეზენტაციები",** რომელიც ნებისმიერი კონფლიქტის ანალიზის ინსტრუმენტს წარმოადგენს. გეოპოლიტიკური სიტუაციების ანალიზში ლაკოსტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მასობრივი ინფორმაციის სა-

შუალებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კონფლიქტის აქტორებზე. ლაკოსტი თვლის, რომ კონფლიქტების სწრაფი ზრდა უკავშირდება დემოკრატიის ელემენტების განვითარებას, აგრეთვე საინფორმაციო სისტემების განვითარებას.

მ. ფუშე ასევე ქმნის გეოპოლიტიკის ახალ კონცეფციას. მისი აზრით, გეოპოლიტიკა ესაა რეპრეზენტაცია, მოღვაწეობა და მეთოდი. გეოპოლიტიკური ანალიზის მთავარ ელემენტად იგი **საზღვრებს** მიიჩნევს. მას მიაჩნია, რომ საზღვრებს შეუძლიათ იარსებონ არა მარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ მათ შიგნითაც. მაგალითად, საზღვარი შეიძლება გადიოდეს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორისაც.

Как действуют на людей
различные расширители
Сознания
Табак
Алкоголь
Наркотики
Геополитика
Елкин